ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 135

„13" მაისი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, პეტრე იბერის ქუჩაზე, ავტოტექმომსახურების გვერდით არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.10.06.001.020) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 25 თებერვლის №9 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 6 მაისის №04/8499 წერილის (AR1379492) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, პეტრე იბერის ქუჩაზე, ავტოტექმომსახურების გვერდით არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.10.06.001.020) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1379492 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2.აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**



საკადასტრო ნაკვეთის ზონირების ცხრილი

ნაკვეთი	ნაკვეთის ფართი	ნაგებობის ფართი	ნაგებობის ფუძის ფართი	ნაგებობის ფასადის ფართი	k1	k2	k3	H
ბლოკი-A								39
ბლოკი-B								50
ბლოკი-C	8476.00	24930	30475	937.00	0.4	4.7	0.1	55.0
ბლოკი-D								55.0

ნაკვეთი	ნაკვეთის ფართი	ნაგებობის ფართი	ნაგებობის ფუძის ფართი	ნაგებობის ფასადის ფართი	k1	k2	k3	H
ბლოკი-A	285	121	242	50	0.4	0.8	0.2	8.5

ნაკვეთი	ნაკვეთის ფართი	ნაგებობის ფართი	ნაგებობის ფუძის ფართი	ნაგებობის ფასადის ფართი	k1	k2	k3	H
	6760	2614	30717	987	0.4	4.5	0.1	55

k1	398
0.4	4.7
0.1	8.8

k1	8.5 მ
0.1	0.8
0.2	8.8